საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №04

ქ. ბათუმი 17 იანვარი, 2017 წ.

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 დეკემბრის №113 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“, აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 დეკემბრის №113 დადგენილებისა და საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№ 12.01.2017) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 დეკემბრის №113 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის შედეგი და კონკურსის საფუძველზე, კლინიკური მედიცინის დეპარტამენტში, ქირურგიის მიმართულებით ასისტენტ პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე - 2021 წლის 17 იანვრამდე ვადით არჩეული იქნეს ზურაბ ჩიხლაძე;

2. კონკურსში გამარჯვებულ პირთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმდეს 2017 წლის 17 იანვრიდან;

3. დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და კონკურსში გამარჯვებულ პირს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**